ქ. დედოფლისწყარო **28.02. 2010 წ.**

ქ. დედოფლისწყარო,
მ.კოსტავას ქ.№42
ტელ. 825625534
www.dedoplistskaro.ge.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება №13

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მე-16 მუხლის შესაბამისად, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან ასანაზღაურებელი თანხის ლიმიტი განისაზღვროს თვეში 160 (ას სამოცი) ლარამდე.

2.საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები გადაირიცხება საკრებულოს წევრის განცხადების საფუძველზე.

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 28 მაისის №67 განკარგულება.

4. განკარგულება ძალაშია საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

5.განკარგულების გასაჩივრება შეიძლება დედოფლისწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. დედოფლისწყარო, კიკვიძის ქ.№2) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე ლევან ბაღაშვილი